

## ავტობიოგრაფია

შალვა ჯამლეტის ძე ქურდაძე, დავიბადე 1977 წლის 21 ოქტომბერს, ხაშურში.

1983 წელს შევედი რუსთავის №4 საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1994 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დღის განყოფილებაზე, რომელც წარჩინებით დავამთავრე 1999 წელს.

იმავე წელს ჩავირიცხე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში, სამოქალაქო სამართლის სპეციალობით, რომელიც დავამთავრე 2002 წელს.

2003 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1999 წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

დანიშნული ვიყავი სამართლის რეფორმებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრად.

2001 წლიდან დღემდე ვახორციელებ საადვოკატო საქმიანობას.

2000 წლიდან დღემდე ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ იურიდიულ (სამართლის) ფაკულტეტებზე.

2015 წლიდან ვარ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და ადვოკატთა სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

მყავს მამა ჯამლეტ ქურდაძე, დაბ. 1952 წლის 5 თებერვალს. ამჟამად არის პენსიონერი.

დედა - ნინელი მურაჩაშვილი, დაბ. 1953 წლის 4 მარტს. ამჟამად არის პენსიონერი.

მმა - გიორგი ქურდაძე, დაბ. 1979 წლის 29 ოქტომბერს. ადვოკატი. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით.

მეუღლე - ნინო ხუნაშვილი, დაბ. 1984 წლის 11 დეკემბერს, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

შვილები - მარიამ ქურდაძე, დაბ. 2007 წლის 30 ოქტომბერს, მოსწავლე

ანასტასია ქურდაძე, დაბ. 2015 წლის 3 აგვისტოს.

შ. ქურდაძე